

შპს „სიემეი სიჯიემ საქართველო“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებები
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება..... 4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია 5
2. მომზადების საფუძველი..... 5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები 9
5. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან 10
6. მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯები 10
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი 11
8. საკუროსო ზარალი 11
9. ძირითადი საშუალებები..... 12
10. სასაქონლო მატერიალური მარაგები..... 12
11. საგადასახადო აქტივი..... 12
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები..... 13
13. ფული და ფულის ეკვივალენტები 13
14. კაპიტალი 13
15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 14
16. პირობითი ვალდებულებები..... 14
17. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან 14
18. ბალანსის შემდგომი მოვლენები 15

მმართველობის ანგარიშგება

1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ..... 17
2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები 17
3. სუბიექტის განვითარების გეგმები 19
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა 19
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ..... 19
6. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები..... 19

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „სიემეი სიჯიემ საქართველოს“ ხელმძღვანელობას და მეწილეებს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „სიემეი სიჯიემ საქართველოს“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „სიემეი სიჯიემ საქართველოს“ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - *“აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე”* - ნაწილში. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 16-20 გვერდებზე) მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჭლავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების ვერ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავეგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის

შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მიუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

14 აპრილი, 2025

თბილისი, საქართველო.

შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მიეუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)



ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

14 აპრილი, 2025

თბილისი, საქართველო.

შპს „სიემი სიჯიემ საქართველო“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	5	31,538,783	35,915,799
სხვა შემოსავალი		-	1,789
სულ შემოსავალი		31,538,783	35,917,588
მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯები	6	(22,720,684)	(26,432,362)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	7	(3,960,074)	(3,476,763)
საოპერაციო მოგება		4,858,025	6,008,463
ფინანსური შემოსავალი		1,529	2,646
საკუროს ზარალი	8	(655,619)	(543,802)
მოგება დაბეგვრამდე		4,203,935	5,467,307
მოგების გადასახადი		(337,742)	(527,411)
წლის სრული შემოსავალი		3,866,193	4,939,896

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 14 აპრილს:

ხათუნა სანაძე

დირექტორი

ხათუნა ძოძუაშვილი

ფინანსური მენეჯერი

შპს „სიემეი სიჯიემ საქართველო“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	5	31,538,783	35,915,799
სხვა შემოსავალი		-	1,789
სულ შემოსავალი		31,538,783	35,917,588
მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯები	6	(22,720,684)	(26,432,362)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	7	(3,960,074)	(3,476,763)
საოპერაციო მოგება		4,858,025	6,008,463
ფინანსური შემოსავალი		1,529	2,646
საკუროსო ზარალი	8	(655,619)	(543,802)
მოგება დაბეგვრამდე		4,203,935	5,467,307
მოგების გადასახადი		(337,742)	(527,411)
წლის სრული შემოსავალი		3,866,193	4,939,896

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 14 აპრილს:



ხატუნა სანაძე

დირექტორი



ხატუნა კოშვილი

ფინანსური მენეჯერი

შპს „სიემეი სიჯიემ საქართველო“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	358,337	432,232
არამატერიალური აქტივები		5,852	5,852
სულ გრძელვადიანი აქტივები		364,189	438,084
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	10	210	3,156
საგადასახადო აქტივი	11	198,136	93,091
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	8,605,002	8,135,647
ფული და ფულის ეკვივალენტები	13	3,956,341	6,737,502
სულ მიმდინარე აქტივები		12,759,689	14,969,396
სულ აქტივები		13,123,878	15,407,480
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	14	30,000	30,000
გაუნაწილებელი მოგება	14	5,206,251	4,755,004
სულ კაპიტალი		5,236,251	4,785,004
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	7,887,627	10,622,476
სულ მიმდინარე ვალდებულებები		7,887,627	10,622,476
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		13,123,878	15,407,480

შპს „სიემი სიჯიმ საქართველო“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2022	30,000	5,147,814	5,177,814
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	-	4,939,896	4,939,896
მფლობელთან განხორციელებული ოპერაციები:			
დივიდენდის გამოცხადება	-	(5,332,706)	(5,332,706)
31 დეკემბერი 2023	30,000	4,755,004	4,785,004
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	-	3,866,193	3,866,193
მფლობელთან განხორციელებული ოპერაციები:			
დივიდენდის გამოცხადება	-	(3,414,946)	(3,414,946)
31 დეკემბერი 2024	30,000	5,206,251	5,236,251

შპს „სიემეი სიჯიემ საქართველო“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის სრული შემოსავალი	3,866,193	4,939,896
არაფულადი კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	86,559	94,342
საპროცენტო შემოსავალი	(1,529)	(2,646)
მოგება ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	-	(1,787)
უიმედო და საექვო ვალების ხარჯი	253,153	143,513
მოგების გადასახადის ხარჯი	337,742	527,411
საკუროსო ზარალი	655,619	543,802
საოპერაციო საქმიანობაზე გასული ფულადი სახსრები სამუშაო კაპიტალში მომხდარ ცვლილებებამდე	5,197,737	6,244,531
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		
ცვლილებები საქონელში	2,946	(2,946)
ცვლილებები დებიტორულ დავალიანებებში	(615,457)	810,731
ცვლილებები საგადასახადო აქტივებში	(105,045)	(19,373)
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში		
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებებში	(3,184,428)	(932,458)
საოპერაციო საქმიანობიდან გასული ფულადი სახსრები დაბეგვრამდე და პროცენტებამდე	1,295,753	6,100,485
გადახდილი პროცენტი	-	-
გადახდილი მოგების გადასახადი	(337,742)	(527,411)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	958,011	5,573,074
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შესყიდვა	(21,366)	(367,262)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	8,702	121,085
საინვესტიციო აქტივობებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(12,664)	(246,177)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდი	(3,414,946)	(5,332,706)
მიღებული პროცენტი	1,529	2,646
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(3,413,417)	(5,330,060)
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა შემცირება	(2,468,070)	(3,163)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	6,737,502	7,073,049
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	(313,091)	(332,384)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	3,956,341	6,737,502

შპს „სიემეი სიჯიემ საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „სიემეი სიჯიემ საქართველო“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია საქართველოში 2007 წლის 4 იანვარს. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 202363414.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საზღვაო კონტეინერების გადაზიდვის ორგანიზება, მიწოდება და სატერმინალო მომსახურებები, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. შპს „სიემეი სიჯიემ საქართველო“-ს 2007 წლიდან, CMA CGM S.A-სთან (საბოლოო მშობელი კომპანია) გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, რომლის პირობების თანახმად, იდენტიფიცირდება როგორც „რწმუნებული“. კომპანია, როგორც „რწმუნებული“ წარმოდგენილია საქართველოში, მხოლოდ საზღვაო გადაზიდვის ნაწილში, სანაცვლოდ კომპანია იღებს საკომისიო შემოსავალს. ხელშეკრულება ძალაშია განუსაზღვრელი ვადით.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, ტურგენევის ქუჩა N11, ხოლო საქმიანობის ადგილი არის საქართველო, თბილისი, ვაკე-საურთალოს რაიონი, მიხეილ თამარაშვილის ქუჩა N13კ.

კომპანიის მეწილეები: კომპანიის მეწილეების სტრუქტურა, 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სახელი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ასს CMA CGM AGENCIES WORLDWIDE / საფრანგეთი	60%	60%
შპს ელ ეი ემ შიფინგ ეჯენზის ჯორჯია	20%	20%
შპს ისთ გეით ჰოლდინგი	20%	20%

ასს CMA CGM AGENCIES WORLDWIDE- ის 73%-იანი წილის მფლობელია როდოლფ საადი და მისი ოჯახი. შპს ისთ გეით ჰოლდინგის 54%-იანი წილის მფლობელია ირაკლი იაშვილი, ხოლო 46%-იანი წილის მფლობელი მიხეილ იაშვილი. შპს ელ ეი ემ შიფინგ ეჯენზის ჯორჯიას 100%-იანი წილის მფლობელია დენიზ სელიმ მაქაშუმე.

საქართველოს ბიზნეს გარემო. კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მაჩასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

(შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2024 წლის 31 დეკემბერი	2.8068	2.9306
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების თანხის სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითად საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების
	ვადა
სატრანსპორტო საშუალებები	8-10
კომპიუტერული ტექნიკა	2 - 7
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-7

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები. კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იხვერება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. შემოსავლების ასახვა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოღინების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდო შეფასება განურჩევლად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით.

გადაზიდვებიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია სერვისის დასრულების შემდეგ, რადგან ტრანსპორტირების პერიოდი მოკლეა და არ აღემატება ერთ კვირას. შენახვის მომსახურებით მიღებული შემოსავალი აღიარებულია დროთა განმავლობაში და გრძელდება მომხმარებლის მიერ კონტეინერების გატანამდე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ტერმინალის ოპერაციებიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება მომსახურების დასრულებისთანავე.

ყველა საზღვაო გადაზიდვისთვის კომპანია მოქმედებს როგორც აგენტი და აღიარებს მხოლოდ საკომისიო შემოსავალს.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში.

ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად იწახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით დებიტორული დავალიანება დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ასეთი

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

მახასიათებლები შეესაბამება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის, თითოეულ კატეგორიას განსაზღვრული აქვს ამ კატეგორიისთვის სპეციფიურ გაუფასურების რეზერვი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით.

• **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდინან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან

	2024	2023
შემოსავალი სატერმინალ მომსახურებიდან	23,778,123	27,586,193
შემოსავალი კონტეინერის გადაზიდვიდან	3,113,394	3,214,424
საკომისიო შემოსავლები	2,037,957	2,118,327
შემოსავალი კონტეინერის გატანიდან	1,054,453	1,064,128
შემოსავალი კონტეინერის შენახვიდან	844,481	1,777,470
შემოსავალი საკონტეინერო მოსაკრებლიდან	463,255	-
შემოსავალი საბაჟო დოკუმენტაციის მომსახურებიდან	80,393	73,991
სხვა შემოსავალი	166,727	81,266
სულ შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	31,538,783	35,915,799

6. მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯები

	2024	2023
საპორტო მომსახურების ხარჯი	(11,315,356)	(11,915,753)
ტრანსპორტირების ხარჯი	(6,703,058)	(7,625,650)
სატერმინალ ხარჯი	(3,032,919)	(4,155,099)
სარკინიგზო ხარჯი	(1,456,215)	(2,580,382)
საბაჟო მომსახურების ხარჯი	(89,125)	(87,835)
საწვავის ხარჯი	(37,636)	(30,327)
სხვა ხარჯები	(86,375)	(37,316)
სულ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯები	(22,720,684)	(26,432,362)

შპს „სიემი სიჯიემ საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

	2024	2023
სახელფასო ხარჯი	(2,637,617)	(2,373,027)
IT მომსახურების ხარჯი	(332,911)	(303,235)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვი	(253,153)	(143,513)
იჯარის ხარჯი	(124,521)	(118,745)
საკონსულტაციო ხარჯი	(111,652)	(99,681)
ცვეთა და ამორტიზაცია	(86,559)	(94,342)
მივლინების ხარჯი	(71,354)	(63,333)
დაზღვევის ხარჯი	(62,775)	(63,999)
საკომუნიკაციო ხარჯი	(56,912)	(47,669)
საოფისე ხარჯი	(53,099)	(54,757)
სხვა ხარჯები	(169,521)	(114,462)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(3,960,074)	(3,476,763)

8. საკურსო ზარალი

	2024	2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	107,051	(67,212)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(449,579)	(144,206)
ფული და ფულის ეკვივალენტები	(313,091)	(332,384)
სულ საკურსო ზარალი	(655,619)	(543,802)

შპს „სიემი სიჯიმ საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

9. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერული ტექნიკა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ ძირითადი საშუალებები
31 დეკემბერი 2022	261,644	168,882	58,682	489,208
შემოსვლა	187,050	63,262	120,970	371,282
გასვლა	(69,510)	-	(115,809)	(185,319)
31 დეკემბერი 2023	379,184	232,144	63,843	675,171
შემოსვლა	-	12,664	8,702	21,366
გასვლა	-	-	(8,702)	(8,702)
31 დეკემბერი 2024	379,184	244,808	63,843	687,835
დაგროვილი ცვეთა				
31 დეკემბერი 2022	(87,869)	(81,154)	(41,575)	(210,598)
ცვეთა	(34,059)	(52,245)	(8,038)	(94,342)
გასვლა	62,001	-	-	62,001
31 დეკემბერი 2023	(59,927)	(133,399)	(49,613)	(242,939)
ცვეთა	(37,918)	(44,284)	(4,357)	(86,559)
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2024	(97,845)	(177,683)	(53,970)	(329,498)
საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2023	319,257	98,745	14,230	432,232
31 დეკემბერი 2024	281,339	67,125	9,873	358,337

სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულება, რომლებსაც იყენებს კომპანია 2024 წლის ბოლოსთვის შეადგენს 66,671 ლარს (2023: 24,024 ლარს).

10. სასაქონლო მატერიალური მარაგები

2024 წლის განმავლობაში ხარჯად აღიარებულმა მარაგების საერთო ღირებულებამ შეადგინა 37,636 ლარი (2023 წელს 30,327 ლარი).

11. საგადასახადო აქტივი

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა,

რომლებისთვისაც შემოღებულია ძალაში შესვლის განსხვავებული თარიღი. ახალი ნორმატიული აქტის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება აქვთ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული

მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

შპს „სიემი სიჯიმ საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნა დაკავშირებულ მხარეებთან	7,310,962	3,945,838
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	1,307,056	2,796,309
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ბრუტო	8,618,018	6,742,147
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(303,216)	(45,375)
სავაჭრო მოთხოვნები, ნეტო	8,314,802	6,696,772
არაფინანსური აქტივი		
გაცემული ავანსები	297,881	1,451,244
შემცირება მიუღებელი თანხებით	(7,681)	(12,369)
არაფინანსური აქტივი, ნეტო	290,200	1,438,875
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ნეტო	8,605,002	8,135,647

უიმედო და საეჭვო მოთხოვნებზე შექმნილი რეზერვის მოძრაობა:

	სავაჭრო მოთხოვნები	გაცემული ავანსები	სულ
31 დეკემბერი 2022	(17,411)	(7,883)	(25,294)
მოგება/(ზარალში) აღიარებული	(139,027)	(4,486)	(143,513)
მოთხოვნის რეზერვის გამოყენება	111,063	-	111,063
31 დეკემბერი 2023	(45,375)	(12,369)	(57,744)
მოგება/(ზარალში) აღიარებული	(257,841)	4,688	(253,153)
31 დეკემბერი 2024	(303,216)	(7,681)	(310,897)

13. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ბანკში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	3,855,323	6,575,600
სალაროში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	89,764	127,023
ბანკში არსებული ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში	6,598	33,281
სალაროში არსებული ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში	4,656	1,598
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	3,956,341	6,737,502

14. კაპიტალი

ინფორმაცია კომპანიის მეწილეების შესახებ წარმოდგენილია პირველ შენიშვნაში.

2024 წელს კომპანიამ დივიდენდის სახით გამოაცხადა და გასცა 3,414,946 ლარი (2023 წელს 5,332,706 ლარი).

შპს „სიემი სიჯიმ საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ვალდებულება დაკავშირებული საწარმოებიდან	7,294,717	10,445,095
სხვა სავაჭრო ვალდებულებები	261,302	65,622
სახელფასო ვალდებულება	250,020	67,627
მიღებული ავანსები	78,202	40,746
გადასახდელი დივიდენდები	3,386	3,386
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,887,627	10,622,476

16. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის შედეგად.

გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონმდებლობით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო.

17. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთერთდაკავშირებულნი არიან, თუ იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში. თითოეული დაკავშირებული მხარეთა ურთიერთობების გათვალისწინებით, ყურადღება მიექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

	დაკავშირების სახე	2024	2023
შემოსავალი მომსახურებიდან	მშობელი კომპანია	10,179,123	12,592,645
შემოსავალი მომსახურებიდან	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	5,760,802	5,176,072
მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	(771,979)	(622,065)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	მშობელი კომპანია	(320,911)	(340,832)
მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯები	მშობელი კომპანია	(184,026)	(279,974)

17. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარესთან არსებული ნაშთები

	დაკავშირების სახე	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	6,748,422	3,102,025
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	მშობელი კომპანია	562,540	843,813
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	მშობელი კომპანია	7,294,717	10,445,095

ტრანზაქციები მენეჯმენტთან და დამფუძნებლებთან

	2024	2023
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები	649,315	556,625

18. ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიამ გამოაცხადა დივიდენდი 912,107 ლარის ოდენობით.

შპს „სიემეი სიჯიემ საქართველო“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

შპს „სიემეი სიჯიემ საქართველო“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

სიემეი სიჯიემ საქართველო (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის დირექტორია ხათუნა სანაძე.

კომპანიის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები:

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საზოგადო კონტეინერების გადაზიდვების ორგანიზება, მიწოდება და სატერმინალო მომსახურებები.

კომპანიის შემოსავლები ძირითადი მიმართულებების მიხედვით არის შემდეგი:

	2024	2023
შემოსავალი სატერმინალო მომსახურებიდან	23,778,123	27,586,193
შემოსავალი კონტეინერის გადაზიდვიდან	3,113,394	3,214,424
საკომისიო შემოსავლები	2,037,957	2,118,327
შემოსავალი კონტეინერის გატანიდან	1,054,453	1,064,128
შემოსავალი კონტეინერის შენახვიდან	844,481	1,777,470
შემოსავალი საკონტეინერო მოსაკრებლიდან	463,255	-
შემოსავალი საბაჟო დოკუმენტაციის მომსახურებიდან	80,393	73,991
სხვა შემოსავალი	166,727	81,266
სულ შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	31,538,783	35,915,799

ძირითადი პროდუქტები/მომსახურება, ბიზნეს პროცესები და სადისტრიბუციო მეთოდები;

კომპანიის ძირითადი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს ფოთის პორტში კონტეინერების სატერმინალო და მათი გადაზიდვის მომსახურება. კომპანია აღნიშნულ მომსახურებას უწევს როგორც იმპორტიდან შემოსულ, ასევე ექსპორტისთვის გამზადებულ კონტეინერებს. მომსახურება ასევე მოიცავს კონტეინერების შენახვას გარკვეული პერიოდისთვის, რის შედეგადაც კომპანია იღებს დამატებით შემოსავალს. საზღვაო გადაზიდვებისგან მიღებული შემოსავლის ნაწილიდან დამფუძნებელი კომპანია უხდის საკომისიო პროცენტს, რაც აღნიშნული მომსახურების შესრულებისთვის გაწეული ხარჯების კატეგორიაში განიხილება.

კომპანიის სტრუქტურა.

კომპანიის მმართველობის ორგანოებია პარტნიორთა საერთო კრება.

კომპანიის დირექტორი 2024 წლის 1 იანვრიდან ანგარიშგების მომზადებამდე პერიოდში იყო ხათუნა სანაძე.


კომპანია არ ფლობს ინვესტიციებს სხვა კომპანიებში.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

2024 წლის შემოსავალმა 31,538,783 ლარი შეადგინა, რაც 12%-ით ნაკლებია 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. გაყიდვების შემოსავლის კლების ძირითადად ადგილობრივი კლიენტების რაოდენობის შემცირებით არის განპირობებული.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

კომპანიის შემოსავლების დინამიკა ბოლო 2 წლის განმავლობაში:



ძირითადი კოეფიციენტები:

	2024	2023
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი (Quick Ratio)	1.62	1.41
სოპერაციო მოგება/(ზარალი) (Gross Profit/(Loss))	0.15	0.17
სულ აქტივები (Total Assets)	13,123,878	15,407,480
სულ შემოსავლები (Total Revenue)	31,538,783	35,917,588
დასაქმებულთა საშუალო მაჩვენებელი (Average employees)	33	33

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: შპს „სიემი სიჯიმ საქართველო“ პერსონალის რაოდენობა 2023 წლის განმავლობაში მერყეობდა 32-დან 33-მდე, ხოლო 2024 წლის განმავლობაში 33-დან 34-მდე. კომპანიას აქვს კარგად განსაზღვრული დასაქმების პოლიტიკა და არჩევს მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატებს. როგორც დამქირავებელი, შპს „სიემი სიჯიმ საქართველო“ სთავაზობს პერსონალს სხვადასხვა სახის ინსტრუმენტებს და მუდმივ საკვალიფიკაციო ტრენინგებს საიმისოდ, რომ პერსონალმა უზრუნველყოს საუკეთესო მომსახურება კლიენტებისთვის. კომპანია განვითარებაზე ორიენტირებულ თანამშრომლებს აძლევს კარიერული განვითარების და პროფესიული წინსვლის შესაძლებლობებს, კარგ სამუშაო გარემოს და კონკურენტუნარიან ხელფასს, სადაც თანამშრომლის უფლებები კარგად არის დაცული და მუდმივად კონტროლდება კომპანიის შესაბამისი დეპარტამენტის მიერ.

ძირითადი მომწოდებლები და კლიენტები. კომპანიას ჰყავს რამოდენიმე დიდი კლიენტი და მომწოდებელი, რომლებიც ძირითადად წარმოადგენენ მის დაკავშირებულ მხარეებს.

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: კომპანია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად

შპს „სიემი სიჯიმ საქართველო“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს ოპერაციების და რენტაბელობის გაძლიერება, რა თქმა უნდა ასევე ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარება და მუდმივი ზრუნვა მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე. კომპანია მუდმივად ცდილობს გააუმჯობესოს მომსახურების ხარისხი და შესთავაზოს ხელსაყრელი კომერციული პირობები არსებულ და პოტენციურ მომხმარებლებს, რათა მოხდეს ახალი კომპანიების მოზიდვა და შესაბამისად რეალიზაციის მოცულობის ზრდა.

ამავდროულად იმის ხაზგასმა, რომ მომხმარებლებს იგი სთავაზობს მომხმარებელს მათი ტვირთის სანდოდ და საიმედოდ გადაზიდვას და შენახვას.

კომპანიის სამომავლო გეგმაში შედის უფრო მეტი ლოკალური კლიენტის მოზიდვა.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2024 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2024 წელს არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:

კომპანია ძირითადად საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

	2024	2023
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3,694*	3,694
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	33.8	30.5
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	9,141.4	8,218.8
მშპ-ის რეალური ზრდა, %	9.4%	7.5%
საშუალო წლიური ინფლაცია	1.1%	2.5%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	1,333.8	1,902.2
უმუშევრობის დონე, %	13.9%	16.4%

*ფინანსური ანგარიშგების გამოცემისას მონაცემები არ იყო განახლებული.

საკრედიტო რისკი

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ მომსახურების შემდგომი გადახდის პირობით მიწოდებით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. კომპანიის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე. შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და კომპანიის შესაბამის პოლიტიკაზე. კომპანიაში მოქმედი პრაქტიკით და სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტებით შეთანხმებულია საკრედიტო ლიმიტების დაშვების და მართვის პოლიტიკა, რამაც უნდა უზრუნველყოს რისკების მართვა მისაღებ დონემდე ისე რომ შენარჩუნებული იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და კომპანია დაცული იყოს არახელსაყრელი ეფექტისგან რისკების არაგონივრული კონცენტრირებით.

6. პირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარსა და ევროში, რაც წარმოიქმნება ერთი მხრივ უცხოურ ვალუტაში მოზიდული ფინანსური რესურსებით და მეორეს მხრივ უცხოური კომპანიებიდან წარმოებული შესყიდვებით. კომპანია არ იყენებს სავალუტო რისკის დაზღვევისთვის რაიმე ტიპის ინსტრუმენტებს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა საბრუნავი კაპიტალის ეფექტურ მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ლიკვიდურობის რისკის მართვას ხელმძღვანელობა ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების მცოცავი პროგნოზის ყოველთვიური მონიტორინგით.

ფულადი ნაკადების მოძრაობის პროგნოზირება ხორციელდება საოპერაციო ერთეულების დონეზე, აგრეგირებული მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინებით. ასეთი პროგნოზი ითვალისწინებს ასევე რეფინანსირების გეგმებს. ფინანსური განყოფილება მონიტორინგს უწევს ლიკვიდობის მართვას მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში, რომ უზრუნველყოს საკმარისი ფულის ქონა საკუთარი საოპერაციო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 14 აპრილს:

ხათუნა სანაძე

დირექტორი

ხათუნა ძოდუაშვილი

ფინანსური მენეჯერი

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

6. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარსა და ევროში, რაც წარმოიქმნება ერთი მხრივ უცხოურ ვალუტაში მოხიდული ფინანსური რესურსებით და მეორეს მხრივ უცხოური კომპანიებიდან წარმოებული შესყიდვებით. კომპანია არ იყენებს სავალუტო რისკის დაზღვევისთვის რაიმე ტიპის ინსტრუმენტებს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა საბრუნავი კაპიტალის ეფექტურ მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ლიკვიდურობის რისკის მართვას ხელმძღვანელობა ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების მცოცავი პროგნოზის ყოველთვიური მონიტორინგით.

ფულადი ნაკადების მოძრაობის პროგნოზირება ხორციელდება საოპერაციო ერთეულების დონეზე, აგრეგირებული მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინებით. ასეთი პროგნოზი ითვალისწინებს ასევე რეფინანსირების გეგმებს. ფინანსური განყოფილება მონიტორინგს უწევს ლიკვიდობის მართვას მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში, რომ უზრუნველყოს საკმარისი ფულის ქონა საკუთარი საოპერაციო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 14 აპრილს:



ხათუნა სანაძე

დირექტორი



ხათუნა მოძუაშვილი

ფინანსური მენეჯერი